5372/3-81/21 2 03062021

5372/3-81/21
03-06-2021

საქართველოს გენერალურ პროკურორს

ბატონ ირაკლი შოთაძეს

საქართველოს პარლამენტის წევრის

ანა ნაცვლიშვილის

კ ი თ ხ ვ ა

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად მოგმართავთ პარლამენტის წევრის კითხვით.

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2021 წლის 02 ივნისს გაკეთებული საჯარო განცხადების თანახმად, ნინოწმინდის ბავშვთა პანსიონთან დაკავშირებით 2016-2021 წლებში დაწყებულია ოთხი სისხლის სამართლის საქმის გამოძიება არასრულწლოვნების მიმართ სავარაუდო ძალადობის ფაქტებზე. გამოძიება მიმდინარეობს სავარაუდო ძალადობის 3 ფაქტზე (სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლი) და სავარაუდო გაუპატიურების ერთ ფაქტზე (სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლი).

1. აღნიშნული სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით აქვს თუ არა ვინმეს წარდგენილი ბრალი და/ან არის თუ არა ვინმე დაკავებული?
2. რა სახის საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებები განხორციელდა მიმდინარე გამოძიებების ფარგლებში?
3. რა ფაქტორებით არის განპირობებული გამოძიების ხანგრძლივობა იმ პირობებში, როდესაც გამოძიების დროულად დასრულება და სიმართლის გარკვევა მაღალი საჯარო ინტერესის საგანს წარმოადგენს.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ანა ნაცვლიშვილი

სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურა

0800 ქ.ახალციხე, თამარაშვილის ქ.№1 ტელ: 2 405 631; 2 405 636

KARR1373827051421

№13/34-36946 **21 / ივნისი / 2021 წ.**

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ქალბატონ ანა ნაცვლიშვილს

ქალბატონო ანა,

თქვენი 2021 წლის 3 ივნისის N5372/3-81/21 მომართვის პასუხად, გაცნობებთ, რომ ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს ჯავახეთის ქ.ნინოწმინდის, წმინდა ნინოს სახელობის ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონატში“ არასრულწლოვნების მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტში ინტენსიურად ტარდება საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები: დღეის მდგომარეობით, უკვე გამოიკითხა 200-მდე მოწმე, დათვალიერდა ტელესიუჟეტები, სხვადასხვა ორგანიზაციიდან და დაწესებულებიდან გამოთხოვილ იქნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია, დაინიშნა სასამართლო-სამედიცინო, ფსიქოლოგიური, ფსიქიატრიული და კომპიუტერული ექსპერტიზები, ასევე, ჩატარდა სხვა არაერთი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება.

ამ ეტაპისთვის სისხლის სამართლის საქმეებზე კონკრეტული პირის/პირების მიმართ არ დაწყებულა სისხლისსამართლებრივი დევნა.

პატივისცემით,

სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის
საოლქო პროკურორის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სოსო სალთხუციშვილი